



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლელიანის განძი

ლელიანის განძი, ვერცხლის მონეტების (163 არაბული, 8 სასანური) განძი. ნაპოვნია 1924 სოფ. ლელიანში (ახლანდ. ლაგოდეხის მუნიციპ.). განძის შედგენილობა ასეთია: ა) სასანური, ხოსრო II (590-628) – 2 ც.; ბ) არაბულ-სასანური, აბდულ-ლაჰ იბნ ზობეირ (680-692) – 1 ც.; გ) ტაბარისტანის აბასიანი მმართველები: ჰურშიდ II, ტაბარისტანის ისპეჰბედი, 108 წ. ტაბარისტანის ერით – 1 ც., ომარ იბნ ალ ალა, ტაბარისტანის აბასიანი მმართველი – 128 წ. ტაბარისტანის ერით – 4 ც., ანონომი ტაბარისტანის მმართველი – 130 წ. ტაბარისტანის ერით – 1ც., დ) ომაიანური მონეტები მოჭრილი ხალიფების აბდ ალ-მალიქის (685-705), ვალიდ I (705-715), ჰიშამის (724-743) და მარვან II-ის (744-750) სახელით, შემდეგ ბარაფხანებში: ვასიტი, დამასკო, თაიმერე 710-745; ე) აბასური მონეტები მოჭრილი ხალიფების: ას-საფაჰის (749-754), მანსურის (754-775), მაჰდის (775-785), ჰადის (785-786), რაშიდის (786-809) და მამუნის (813-817) სახელით შემდეგ ბარაფხანებში: ბასრა, ქუფა, ჯონდი-საბური, აბასია, მუჰამადია, ბაღდადი, რეი, ჯეი, იფრიკია, არმინია, გარანჯი, მუბარაჯი, მარვი, ბალხი, ბუხარა, სამარყანდი, მაადინ ბაჯუნაისი, ისპაჰანი, არანი 750-829.

განძი სავარაუდოდ ჩამარხულია IX ს. II ნახ-ში.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ფულის მიმოქცევის ისტორიისთვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2005; ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტიპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; Д ж а л а г а н и а И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тб., 1979; П а х о м о в Е. А., Клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, в. 2, №395, Баку, 1938.
